# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 54 | კვირა, 18 აგვისტო 1902 წ. | გაზეთის № 1899.

## «ღ ლ ა მ დ ე»

Es ist eine alte geschichte...

### 1

— მითხარ, ნიკო, ხომ გიყვარვარ?.. მითხარ!.. ნუ მტანჯავ, ნუ მაწვალებ... დამატკბე შენთან ყოფნით, მუსაიფით, შენის ცქერით. მე მინდა სულ შენს ახლოს ვიყო. შენ გიყურებდე, შენით ვცოცხლობდე! მითხარ, ჩემო კარგო, გიყვარვარ, გახსოვარ?... შენ შემოგწირავ ჩემს სულს, ავასრულებ შენს ნებას, შენ იქნები ჩემი ღმერთი, ოღონდ გიყვარდე... გეფიცები, შენი მონა ვიქნები, მუდამ შენი ერთგული მონა... უშენოდ ცხოვრება არ შემიძლიან... ან სიკვდილი, ან შენთან ცხოვრება!..

— ვარდო! ათასჯერ მითქვამს და გეუბნები, რომ მეც მიყვარხარ სწორედ ისე, როგორც შენ... შეიძლება უფრო მეტადაც, მაგრამ რა ვქნა, რომ ვერაფრით ვერ დაგაჯერე?! მითხარ, რა საშუალება ვიხმარო შენ დასაჯერებლად? როგორ მოვიქცე?!... მე მწამს შენი სიყვარული, მაგრამ რატომ შენ არა გჯერა ჩემი სიყვარული?.

— ნიკო, სტყუი არ გიყვარვარ! ეგ მხოლოდ ცარიელი სიტყვებია... იმის მეოთხედი სიყვარული მაინც რომ გქონდეს რაც მე მაქვს, შეასრულებდი ჩემს თხოვნასა. მაგრამ შენთვის ჩემი ხვეწნა უმნიშვნელოა, რადგანაც არ გიყვარვარ. თუ კი არ გიყვარვარ, რისთვისა მტანჯავ, მაწვალებ?... ჩამოვხმი ქალი, დავჭკნი... თვალებზე ცრემლი არ შემშრობია მას შემდეგ, რაც შენ ორპირობა შეგატყე... მითხარ გადაწყვეტით, რომ არ გინდივარ და მე როგორმე ვუშველი ჩემს უბედურ თავს.

ნიკო ამ დროს გაშეშებული იდგა როგორც ხე; ვერ მოეხერხებია პასუხი. ერთის მხრივ ენანებოდა ქალი, ეს მოხდენილი, მაღალი და ეშხით სავსე ადამიანი, რომელსაც ასე გატაცებით უყვარდა ქალი; მეორეს მხრივ არ უნდოდა მისი სიყვარული, რადგანაც ჯვარი უნდა დაეწერა. პირ-და-პირ უარის თქმა ვერ გაებედნა: „ვინ იცის, ფიქრობდა ნიკო, იქნება ვერ მოინელოს სიყვარული და თავი მოიკლას“. როცა ქალს უახლოვდებოდა, ნიკოს ფიქრად ჰქონდა დამტკბარიყო მისის ალერსით, ხვევნა-კოცნით და მერე, როდესაც თავისას მიიღებდა, სრულიად გასცლოდა. „რაკი მიზანს მივაღწევ, ჰფიქრობდა ნიკო, და გულს გავიგრილებ, მივატოვებ ვარდოს და იმასაც დავავიწყდებიო“. მაგრამ ეს ფიქრები, ფიქრებადვე დარჩა.



† ავქსენტი ცაგარელი
გარდაიცვალა 12 ავგვისტოს

ვარდოს კი სიყვარულის ალი თან-და-თან უძლიერდებოდა. ვარდომ უკვე გადასწყვიტა ან სიკვდილი, ან ნიკოს ცოლად გაყოლა. სიყვარულს ისე გაეტაცნა საწყალი ქალი, რომ მოთმენა დაეკარგა. დღეს ჰსურდა შეეტყო ნიკოსაგან გადაწყვეტილი პასუხი: შეირთავდა ცოლად, თუ არა.

ნიკო ასე ოცის, ოცდა-ორის წლის ყმაწვილი კაცი იყო, ენაწყლიანი მოსაუბრე, ეშხიანი და ტანადი. სწავლა ის იყო დაესრულებინა და ახლად გამოსულიყო ცხოვრების ასპარეზზედ. გამოუცდელს, ჰსურდა ჯერ მომზადებულიყო ცხოვრებისათვის, ენახა კარგიცა და ავიც და მომზადებულს, როგორც ზნეობრივად, ისე ქონებრივად, შეერთო ცოლი და დაეწყო ოჯახური ცხოვრება. მანამ კი უნდოდა თავისუფლად მისცემოდა ცხოვრების ტალღებს და ენავარდნა იმის ზვირთებში ნიკოს ეგონა ქვეყანა ია-ვარდით არის მოფენილიო. „ცხოვრებას ისე მოვაწყობ, როგორც მე მინდაო“, ჰფიქრობდა ნიკო. თავის ძალ-ღონით დაიმედებულს ნიკოს ეგონა, რომ ცხოვრებაში შეიძლება ყველაფრის დაძლევა, ყველაფრის მოწესრიგება.

აი ამ ცრუ შეხედულებით აღჭურვილი გამოვიდა ცხოვრებაში და გამოსვლისათანავე შეხვდა ვარდოს. ვარდოს პირველ გაცნობისასვე მოეწონა და შეუყვარდა ყმაწვილი. ვარდო და ნიკო ხშირად ჰხედავდნენ ერთმანეთს. ნიკოს ჰსურდა თავი მოეწონებინა ვარდოსათვის და არა ჰფიქრობდა იმაზედ, თუ რა შედეგი მოჰყვება მოწონებასა და სიყვარულს.

ნიკო კარგად ატყობდა, რომ ვარდოს უყვარდა; ვარდოს თვალები ყოველთვის ამტკიცებდნენ ამას. ესმოდა ნიკოს, რასაც ჰნიშნავდა ვარდოს განუწყვეტელი ლაპარაკი სიყვარულზე, ესმოდა იმისი ორაზროვანი სიტყვები, ესმოდა და თან სტკბებოდა. უნდოდა, ვარდოს ეს პირბადე ჩამოეხსნა და პირ-და-პირ ეთქვა: „მიყვარხარო“. ეს ნიკოსთვის იქმნებოდა აღდგომა, ნეტარება.

ასეც მოხდა. ერთ მშვენიერ საღამოს, როცა ვარდო და ნიკო ერთად წავიდნენ ბაღში სასეირნოდ, ქალი ისე გაიტაცა ნიკოს მაცდურმა სიტყვებმა, რომ მოჰხვია ვაჟს ხელები და უთხრა: „მიყვარხარო“. ნიკოს ტუჩებმა პირველად იგრძნო ვარდოს ნაზის ტუჩების კოცნა. იმ საღამოს კარგა ხანს დარჩნენ ბაღში და დასტკბნენ მუსაიფითა და ალერსით.

იმ ღამეს, ვინ იცის რა ფიქრმა და აზრმა არ გაუარა თავში ნიკოს. თან ემადლიერებოდა თავს, რომ მოჰხიბლა, სძლია მშვენიერ ქალს; თან უკვირდა, როგორ მოახერხა საქმე ასე კარგად. სცდილობდა მოეგონა ის ქცევა, ის სიტყვები, რომლითაც ამ საუცხოვო ქალის გული მოიგო, რომ შემდეგში სხვებთანაც ასე მოქცეულიყო. ვარდო კი დღეის შემდეგ არ

ეყვარება, რადგანაც ნიკომ მიაღწია გულის წადილს. ახლა ნიკოს უნდა ეცადნა შეეძულებინა თავი და განშორებოდა. ამისათვის საჭიროდ სთვლიდა ხშირად აღარ ეარა და აღარ ელაპარაკნა იმასთან, მოჰპყრობოდა უფრო გულ-გრილად. ნიკო დარწმუნებული იყო, თუ ასე მოიქცეოდა, მიზანს მიაღწევდა.

ასეც მოიქცა. მაგრამ საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა. ვარდოს სიყვარულმა უფრო იმატა; იმ დღის შემდეგ ვარდო თავისს საკუთრებად სთვლიდა ნიკოს. ან კი როგორ არ უნდა მიეჩნია საკუთრებად, როდესაც ნიკო გატაცებით ეფიცებოდა, მიყვარხარო. „ნუ თუ მომატყუილებს და ჩემი არ იქნება—ჰფიქრობდა ვარდო,—არა, უყვარვარ!.. მაგრამ, რას ჰნიშნავს იმისი ასეთი ქცევა?!. რად მიატოვა ჩემთან სიარული და ლაპარაკი?!“

ქალს ეჭვი ჰკლავდა. სურდა შეეტყო, უყვარდა თუ არა ნიკოს, შეირთავდა თუ არა იგი ცოლად. აი, ამისათვის მიიხმო დღეს ნიკო.

— მითხარ, ნიკო, გიყვარვარ? მითხარ გადაწყვეტით ან ჰო, ან არა? მაშინ გული დამიყუჩდება, მოვისვენებ. ნიკო, იცოდე, მიყვარხარ, მიყვარხარ გაგიჟებით!... შენ ჩემი საკუთრება უნდა გახდე!.. იქნება ახლა არ შეგიძლიან ჯვარის დაწერა? მოვიცდი, როდემდისაც გინდა მოვიცდი!..

ამ სიტყვების გაგონებაზე ნიკო ცოტად მოცოცხლდა; შეეძლო ეთქვა ვარდოსათვის: „მომიცადე, შეგირთავო!..“—ეგონა: რაკი დროს აღუთქვამდა, ქალი დაყუჩდებოდა, ამ დროს განმავლობაში გულს გაიგრილებდა და მერე სრულიადაც დაივიწყებდა. ამისთვის ტკბილად უთხრა ვარდოს:

— ჩემო, სიცოცხლევ! ხომ იცი, მე ჯერ არაფერი მაბადია ცხოვრებისათვის, არც ფული მაქვს, არც სხვა რაიმე სახსარი. ახლა რომ ჯვარი დავიწეროთ, ორივენი უბედურნი შევიქნებით! უნდა იცოდე, რომ მიყვარხარ, მიყვარხარ ისე, როგორადაც ახალგაზდა კაცს შეუძლიან სიყვარული. მაგრამ რა ვქნა, რომ არაფერი შემიძლიან ამ ჟამად ამ სიყვარულისათვის?! ხოლო თუ მართლა დაიცდი, მოვეწყობი, მოვემზადები და მერე დავიწყოთ ცხოვრება.

— როდემდის მოგიცადო?

— როდემდისაც გსურს.

— გეყოფა ერთი წელიწადი?

— დეე, იყოს ერთი წელიწადი.

— მაშ მართალს მეუბნები? ვიწამო შენი სიტყვები?

— გეფიცები ყველაფერს, რომ მართალს გეუბნები!

— მაშ წლამდე გიცდი, მშვიდობით.

— მშვიდობით.

ვარდო მეტად აღელვებული იყო. ამ სიტყვებმა მოალბეს იმისი გული; ნიკოს სიტყვები უტყუვარ ჭეშმარიტებად მიაჩნდა, ამისთვის დამშვიდებული გამოეთხოვა და გასწია შინისკენ.

II

მაგრამ... გავიდა დრო და ნიკომ მდიდარი მზითვიანი ქალი შეირთო...

საბრალო ვარდო-კი დაჭკნა და უდრო-უდროოდ მოხუცდა.

გ. ხაჟომის.



ჰენრიხ სემირადსკი

## ჰენრიხ სემირადსკი

10 ავგვისტოს გარდაიცვალა რუსეთში გამოჩენილი მხატვარი ჰენრიხ სემირადსკი.

განსვენებული დაიბადა 1843 წელს ხარკოვის მახლობლად, სადაც იმისი მამა მსახურებდა. საზოგადო განათლება მომავალმა მხატვარმა ჯერ გიმნაზიასა და შემდეგ უნივერსიტეტში მიიღო; გაათავა საფიზიკო და სამათემატიკო ფაკულტეტი. მხატვრობა პატარაობითვე უყვარდა სემირადსკის და ამიტომ ამ საქმეს გიმნაზიაშივე მხურვალედ მოჰკიდა ხელი. საბედნიეროდ, პირველი ხელმძღვანელობა გაუწია დიდად გამოჩენილ მხატვრის ბრიუ-



მიბაძვა ღმერთებს ჰენრიხ სემირადსკის სურათი.

ლოვის მოსწავლემ ბეზპერჩიმ, რომელიც სწორედ ამ დროს გიმნაზიაში ასწავლიდა მხატვრობას.

უნივერსიტეტის გათავებისას, 1864 წელს სემირადსკი სამხატვრო აკადემიაში შევიდა, სადაც პირველ წელსვე მასწავლებელთა ყურადღება მიიქცია, ხოლო 1866 წელს მიიღო ორი ჯილდო, ვერცხლის მედლები. მალე სხვა ჯილდოებიც დაიმსახურა ნიჭიერმა ყმაწვილმა კაცმა. აკადემიაში ყოფნის დროს სულ მიიღო 5 ვერცხლის მედალი, ერთი ოქროს მედალი და პრემია ფულად. ამ დროის სურათთა შორის უფრო ცნობილია „სოდომ და გომორის დაქცევა“ და „დიოგენი, რომელიც თავის ჯამს ამტვრევს“.

გაათავა თუ არა აკადემია, ყმაწვილი კაცი ექვსის წლით სახელმწიფო ხარჯით საზღვარ გარედ გაგზავნეს, სადაც სემირადსკი იწვრთნებოდა ღ ვითარდებოდა ცნობილ და დახელოვნებულ მხატვართა ხელმძღვანელობით. პირველად მხატვარმა ევროპის ყურადღება 1870 წელს მიიქცია. მალე ისე გაითქვა სახელი, რომ იმის სურათებს იძენდნენ დიდ ფასად მილიონერნი და ევროპის აკადემიები და საუკეთესო მუზეუმები. რუსეთის სამხატვრო აკადემიამ დააჯილდოვა ჯერ პირველ ხარისხის მხატვრისა და შემდეგ პროფესორის სახელით. ევროპის სხვა აკადემიებმა თავიანთ წევრად აირჩიეს; ამას გარდა საფრანგეთის მთავრობამ მხატვარს უბოძა საპატიო ლეგიონის ორდენი.

სემირადსკიმ დიდი ნიჭი გამოიჩინა და სახელი მოიხვეჭა ისტორიულ მხატვრობაში. თავის სურათებისათვის შინაარსს ძველ დროის ცხოვრებიდან იღებდა. უყვარდა განსაკუთრებით რომის იმპერიის ბრწყინვალე ხანა, იმპერატორების დრო: სამაგალითოთ ჰქონდა შესწავლილი ეს ხანა და სწორედ ამიტომ არც ერთ სურათში სემირადსკის ისტორიულ სინამდვილესთვის არ უღალატნია. ისტორიული სინამდვილე და ბუნებრივობა იმდენად სწორი და ძლიერი იყო, რომ ეს სურათები ბევრ მწერლისა და მემუსიკესთვის დაუშრეტელ წყაროდ გადაიქცა. ამ სურათების მეოხებით ეკშტეინმა შეადგინა ორ ტომიანი რომანი „ნერონი“. ისტორიულ დეკორაციების დახატვის დროს სემირადსკის სურათები ბევრ მხატვარს ნამდვილ სახელმძღვანელოს მაგიერობას უწევდა. უმთავრესი ღირსება სემირადსკის სურათებისა ამ სინამდვილის გარდა სამაგალითო ტეხნიკაა. იმის სურათში ვერ დაინახავთ უმნიშვნელო წვრილმანს; სიცოცხლის ბეჭედი აზის ყველაფერს, ადამიანთა სახებს, ხეებს, პირუტყვებს.

პირველ სურათს, რომელმაც სემირადსკის ნიჭი გამოაშკარავა, სახელად ჰქვიან — „ნდობა ალექსანდრე მაკედონელისა თავის მკურნალის ფილიპეს მიმართ“. მოგეხსენებათ ისტორიული ამბავი: დარიოსთან ომის დროს დიდი ალექსანდრე უეცრად ავად გახდა. მკურნალობდა ავადმყოფს ფილიპე. ალექსანდრეს წერილი მიუვიდა, ატყობინებდნენ, ფილიპე დარიოსმა მოქრთამა, უფრთხილდი, არ მოგწამლოსო. ალექსანდრემ არ დაუჯერა ამ წერილს და როდესაც ფილიპემ წამალი მისცა დასალევად, ალექსანდრემ უსახელო წერილი გადასცა წასაკითხად. სწორედ ესაა დახატული სურათზედ: ალექსანდრეს წამლით სავსე ჭიქა უჭირავს, ხოლო ფილიპე გულდასმით წერილსა კითხულობს.

სემირადსკის სურათთა შორის ყველაზედ ცნობილი და ნიჭიერად დახატული უფრო ორია: „ქრისტე და ცოდვილი ქალი“ და „ნერონის ცოცხალი მაშხალები“. პირველ სურათზე მარჯვნივ გარყვნილ ქალთა და კაცთა წრეს გადასული ქეიფია,



დასვენება ყანაში.

დროს გატარება. მარცხენა მხრიდან მოდის ქრისტე, რომელსაც უკან მოწაფენი მოსდევენ. კონტრასტი ამ ჯგუფთა შორის საოცარია. მოქეიფეთაგან ერთი ქალი დგება და გალაღებული ქრისტეს ეგებება, უნდა დაუმტკიცოს თანამოქეიფეთ, რომ ქრისტეს სათნოება ვერ იმოქმედებს იმაზედ. მაგრამ ვერ გასჭრა გარყვნილების გამბედაობამ: როდესაც ქრისტემ ლმობიერის თვალით შეჰხედა, ქალს აშკარად დაეტყო დარცხვენა.

მეორე სურათი საოცარი და შემზარავია. ცალ მხარეს ბოძებია დარჭობილი, რომელთა თავზედაც დამაგრებულნი არიან ცოცხალი კაცები და ქალები, მართლ-მორწმუნე ქრისტიანენი. აი ტრახტრევანით გამოიყვანეს ნერონი და „ცოცხალ მაშხალებს“ ცეცხლი წაუკიდეს. ნერონთან ერთად მთელი რომი უყურებს ამ შემზარავ სურათს...

სემირადსკის ზემოთ დასახელებული და სხვა სურათები შემდეგ ნომრებშიაც იქმნება მოთავსებული.

## ნარევი

ტირილი და სიცილი ცხოველებმაც იციან. ბუნების მკვლევარ მეცნიერთ გამოუკვლევიათ, რომ ცხოველებში, ისე როგორც ადამიანებში, ტირილი დიდის მწუხარებისა ან ტკივილის გამომსახველია

ეს შეუნიშნავთ ცხენისა, ძაღლისა, შინაური თხ-ფეხისა, მაიმუნებისა, სპილოებისა, აქლემებისა, სირ-აქლემებისა, ნიანგებისა და სხვებისათვის. მაიმუნი შიმპანზე სტირის, როცა რომელისამე დანაშაულისთვის გამოცდილებით იცის უთუოდ სცემენ. ძნელი სათქმელია, რა მიზეზი იწვევს ამ შემთხვევაში ცრემლებს: წინად გრძნობა ტკივილისა, თუ უნდა გული მოულბოს მცემელს!

მეცნიერ ბერლაკს უმოგზაურია კუნძულს იავაზე (ინდო-ჩინეთისაკენ). ამ მგზავრობის დროს ბერლაკს თოფი უსროლია ერთ პატარა მაიმუნისათვის, რომელსაც შვილი გულში ჩაეხუტნია. მძიმედ დაჭრილი დედა ძირს ჩამოვარდნილა, მაგრამ შვილისთვის ხელი არ გაუშვია. როდესაც ახლო მისულა, ბერლაკს შეუმჩნევია, რომ მაიმუნი მწარედ სტიროდა. შეუმჩნევიათ მაიმუნის ტირილი მაშინაც კი, როდესაც გულის წადილი ვერ აუსრულებიათ. ბევრჯელ მაიმუნი მახლობელთა უბედურებასაც დასტირის. ზოგი მაიმუნი ჩუმად და წყნარად სტირის, ზოგი კიდევ მაღლა ქვითინებს.

მწარედ სტირიან ხოლმე დაჭერილი ლომები და ირმები, როდესაც ჰხედავენ, რომ ხსნა და შველა არსაით არის. ბევრ მგზავრს უნახავს დაღლილობისაგან მტირალი აქლემი. საყურადღებო ამბავს გადმოგვცემს ერთის ტურის შესახებ აფრიკის გამომკვლევი, შესანიშნავი ლივინგსტონი. ეს ტურა იმდენად გაშინაურებული და განებივრებული იყო, რომ ბავშვივით სტიროდა, როდესაც ხელში არ იყვანდნენ. ბევრი ვირთაგვები ხშირად სტირიან თავიანთ უბედურების გამო; სტირიან მაშინაც, როდესაც ახალგაზრდა დამხჩვალ ვირთაგვასა ჰხედავენ.

ხშირად ამბობენ ხოლმე, „ნიანგის ცრემლებსა ღვრისო“. ნიანგები მართლაც სტირიან, ამასთან იმათი ტირილი მეტად წააგავს ბავშვის ტირილს. ტიულენებიც მონადირეთა თავ-დასხმის დროს საცოდავად ღრიალებენ, ამასთან ცრემლებსა ღვრიან, ზურგზე წვებიან და ფეხებს მაღლა იშვერენ, თითქოს შებრალებასა და შეწყალებას თხოულობენო. ბევრ მონადირეზედ ასეთი საცოდაობა იმდენად მოქმედებს, რომ თოფის სროლას ვეღარ ახერხებს. ცრემლებსა ღვრის ხოლმე ხშირად მომაკვდავი ყირაფიც.

სიცილი უფრო იშვიათია ცხოველთა შორის, ვიდრე ტირილი. მკვლევარნი და მეცნიერნი დარწმუნდნენ მხოლოდ ძაღლების ტირილს ვიკონტ დ'ეტლესს სწრაფად ფოტოგრაფიული სურათებიც კი გადაუღია იმ დროს, როდესაც ძაღლი იცინოდა. როგორც ადამიანთა შორისაა, ზოგი ძაღლი ხშირად და ადვილად იცინის, ზოგი კიდევ ძნელად და იშვიათად.



ზოგიერთი ქუთათური ახალგაზრდა ათვალიერებს მზარეულთა კალათებს იმის გასაგებად, ვინ უფრო გემრიელის სადილით გაუმასპინძლდება.

ვერის ბაღებში ქეიფი ეგრედ წოდებულ „ტფილისის არისტოკრატებისა“. პირველი კომიკური გამოსვლა №-სა.



— ბატონებო, ვემორჩილები თქვენს დადგენილებას, მადლობას მოგახსენებთ სადღეგრძელოსთვის და ვიხდი ტანისამოსს...

— რას სჩადიხარ, ვანიჩკა, რაში გვესიამოვნება შენი გატიტვლება!

— თქვენ რომ არ გესიამოვნებათ, იქნება ვასიამოვნოთ ქალებს, რომელნიც ამავე დადგენილების ძალით გატიტვლდნენ...

???...



აგარაკად გაგზავნილ ოჯახთა მამების მდგომარეობა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ, 9 Августа 1902 г. Электропеч. груз. изд. т—ва. (ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა).